ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

G E O R G I A

CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:**ო97. 9723332001**

თარიღი:**28/11/2023**

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა N-10

დ. ლენტეხი. 24 ნოემბერი.2023წ

მიმდინარე წლის 24 ნოემბერს ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა. ბიუროს სხდომას ესწრებოდა ბიუროს 11 (თერთმეტი) წევრი. საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა წევრი. ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი:

1. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს კომისიების მიერ მომზადებული შენიშვნების მოსმენა.**

   /მომხს: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ლამზირა გუგავა/

2. **სხვადასხვა.**

შენიშვნა დღის წესრიგთან დაკავშირებით არ ყოფილა.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს საკრებულოს ბიუროის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. **მოისმინეს:** საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 15 ნოემბერს ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 91-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით მერიამ საკრებულოში შემოაგზავნა ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პროექტი. აღნიშნული პროექტი საკრებულოს თავმჯდომარის რეზოლუციით განსახილველად დაეგზავნა საკრებულოს კომისიებს და ფრაქციებს. წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით კომისიებმა და ფრაქცია,,ქართული ოცნება -დემოკრატიულმა საქართველომ“ ჩაატარეს სხდომები და განიხილეს წარმოდგენილი ბიუჯეტი. დადეს შესაბამისი დასკვნები. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ შეაჯამა კომისიების და ფრაქციის მიერ დაგროვილი შენიშვნებიდა ეს შენიშვნები ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

1. აუცილებელია ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას ლენტეხის მუნიციპალიტეტში დაბის განაშენიანების გენერალური გეგმის პროექტისთვის საჭირო თანხა (საფუძველი: ყოველდღიური შემხვედრი პრობლემები, უნებართვო მშენებლობები, მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება);

2. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას სოფ. სასაშში

აფხაზეთის ომში დაღუპული ემზარ ონიანის საფლავის შესაკეთებლად საჭირო თანხა 10000(ათი ათასი) ლარი. (საფუძველი: სოფ. სასაშის მოსახლეობასთან შეხვედრის დროს გამოთქმული პრობლემა);

3. ტერიტორიულ ერთულებში, სადაც შეიძლება დასუფთავების სამსახურის სპეციალური მანქანის მომსახურეობა, აუცილებელია 2024 წლის ბიუჯეტის არაფინანსურ აქტივებში გათვალისწინებული იქნას 50 (ორმოცდაათი) სანაგვე ურნის შესაძენად საჭირო თანხა. (საფუძველი: ტერიტორიული ერთეულებში მოსახლეობასთან შეხვედრების დროს დაფიქსირებული მოქალაქეების თხოვნა);

4. გათვალისწინებული იქნას (ა) იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების თანამშრომლებისთვის სახელფასო სარგოს 100 ლარიანი მატება. (საფუძველი: 2018 წელს მთავრობის მიერ დაანონსებული პროგრამა).

6. 2024 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას ტერიტორიულ ერთეულებში დამონტაჟებული გარე განათების მოვლა - შენახვისთვის და რეაბილიტაციისთვის საჭირო ხარჯები. (საფუძველი: მოსახლეობასთან შეხვედრების შედეგად გამოთქმული პრობლემა).

7. წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში სუბსიდირების მუხლში 2023 წელთან შედარებით არის სუბსიდიის კლება და შესაბამისად აუცილებელია მერის ახსნა -განმარტებითი ბარათი ამ საკითხთან მიმართებაში, თუ რამ განაპირობა აღნიშნული პროცესი.;

8. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის მუხლში გათვალისწინებული იქნას საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების მატება 10000 (ათი ათასი ლარით);

9. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებისთვის მათი ფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე გასათვალისწინებელია სახელფასო სარგოს მატება. (საფუძველი: მერის წარმომადგენლების ერთობლივი განცხადება).

10. ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას საარქივო მომსახურეობისათვის საჭირო თანხები. (საფუძველი: საქართველოს ეროვნული არქივის გენერალური დირექტორის წერილი).

11. გათვალისწინებული იქნას შეზღუდული შესაძლებლობის პირთა დახმარების 30%-იანი მატება. (მოტივაცია: ბენეფიციართა წერილობითი და სიტყვიერი მომართვა).

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა აღნიშნა, რომ ძალიან ბევრ პრობლემას ვაწყდებით დაბის განაშენიანების გენერალური გეგმის არ ქონის გამო. ამიტომ აუცილებლად უნდა დავიწყოთ ეს პროცესი, ასევე ძალიან მტკივნეულია ის საკითხი, რომ სოფ. სასაშში დღემდე ვერ მოგვარდა აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპული ემზარ ონიანის საფლავის კეთილმოწყობა და აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მერიამ ეს საკითხი.

ზურაბ ონიანმა აღნიშნულ საკითხს დაამატა, რომ ემზარ ონიანი არის ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენის კავალერი, წლებია მიმდინარეობს ამ საკითხზე მსჯელობა და პროექტიც შესრულების პროცესშია, კერძოდ კეთდება მისი სახელობის სკვერი, მაგრამ როგორც შემსრულებლისგან მიღებული ინფორმაციით ირკვევა ემზარ ონიანის საფლავის კეთილმოწყობა არ არის გათვალისწინებული. ამიტომ სოფლის მოსახლეობის თხოვნის გათვალისწინებით ჩაიწერა ეს შენიშვნა.

აზრი გამოთქვა: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მევლუდ ლიპარტელიანმა - ყველა შენიშვნა მომზადდა მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინების საფუძველზე.

ბიუროს წევრებმა კიდევ ერთხელ გაიარეს ყველა წარმოდგენილი შენიშვნა და ბოლოს ღია კენჭისყრის შედეგის მომხრე -11

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს:

ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი საკრებულო მიერ მომზადებულ შენიშვნებთან ერთად დაუბრუნდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერს.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა დამთავრდა დღის 13 საათსა და 40 წუთზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი